საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 437 2017 წლის 26 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მარტის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 მარტის №53 დადგენილებაში (სსმ, 33, 23/03/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნას საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის საქართველოს მხარე შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი გახარია	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, კომისიის

		თავმჯდომარე;
გენადი არველაძე	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
ნოდარ კერესელიძე	-	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
ირაკლი მატკავა	-	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე;
მარიამ ვალიშვილი	-	საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;
დავით ჯალაღანია	-	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
თეიმურაზ მურღულია	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
რევაზ ჯაველიძე	-	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე;
ზურაბ აბაშიძე	-	საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში;
მამუკა ბახტაძე	-	სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი;
გიორგი ჩოგოვაძე	-	სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ გოგილიძე	-	სსიპ – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარე;
ნატო ჩიქოვანი	-	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე;
მაია გუნცაძე	-	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის

	მოადგილე;
ნანა შავიძე	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის მდივანი;
ალექსანდრე ხვთისიაშვილი	- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;
ხატია წილოსანი	- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
ჯემალ ვაშაკიძე	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
მიხეილ პაატაშვილი	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის სახმელეთო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი;
მარიამ ლაშხი	- სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დონორებთან ურთიერთობებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი